სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №71

ქ.ქუთაისი 18 თებერვალი 2016 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის შოთა მურღულიას სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24 54 54; წერილი №1530-01 17.02.2016წ.)

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მწვანე მარკეტი“, მისი დირექტორის თამაზ გუგეშაშვილის სახით, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქ. №2) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 საბაკალეო საქონლის სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი –15800000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადების

4.1 „მიმწოდებლი“ ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს ,,შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი საქონელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესაბამისი უფლებამოსისლი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე

6.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება -მიღება-ჩაბარების აქტი,

გ) მიწოდებელი საქონლის შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა;

6.3. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

-საქონლის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

8.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

8.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

– მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის 100 (ასი) ლარს.

9.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

10 ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი

ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.
13.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“
ბ/კოდი: TRESGE22
ს/კოდი: 212721170
ა/ა 200122900
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერი

შოთა მურღულია

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „მწვანე მარკეტი“
მის: ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქ. №2
ს.ს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა **GE04TB7880636020100001**
ს/კ 412674306

შ.პ.ს. „მწვანე მარკეტი“
დირექტორი

თამაზ გუგეშაშვილი